



საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კლევის
საერთაშორისო
ცენტრი

თანამედროვე ბიოეთიკური დისკურსის პრობლემები

თემისები

ბიოეთიკა, როგორც სპეციფიკური სისტემური აზროვნების განსაკუთრებული მოდელი, მიზნად ისახავს დაადგინოს სასიცოცხლო პროცესებში ადამიანის უშუალო ჩარევის ეთიკურ-ზნეობრივი საბაზო ლეგიტიმაცია. ამდენად, ბიოეთიკური ტიპის აზროვნება რთულსა და განსაკუთრებულ ამოცანას აყენებს: დააფუძნოს ეთიკური ნორმები და ღირებულებები, რომელთაც დაევალებათ ქცევათა დარეგულირება და ტექნოგენური ცივილიზაციის უახლესი მიღწევების ცხოვრებასა და ბიოსფეროში დანერგვა.

„რა არის კარგი ცხოვრება?“ არსებობს მრავალი პოსტ-მეტაფიზიკური პასუხი ამ ერთის შეხედვით მარტივ შეკითხვაზე? რამდენადაა შესაძლებელი მოვიძიოთ ჭეშმარიტი პასუხები კითხვებზე: „როგორ ვიცხოვო?“ ან „როგორ უნდა ვიცხოვო?“

ფილოსოფიას, არსებობის 26 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, სჭეროდა, რომ ძალუძს გვიჩვენოს სათნო ცხოვრების მიღწევის საყოველთაოდ მნიშვნელადი, სწორი, სანიმუშო გზა,, თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის იურგენ პაბერმასის აზრით, პირველად კირკეგორმა შეძლო ყველაზე ახლოს მიახლოვებოდა საკითხს. მან ეს მოახერხა ცნების „საკუთარ თავად ყოფნის შესაძლებლობა“ შემოტანით; (კირკეგორის ტერმინოლოგიით „ან-ან-ი“). პიროვნება, აცნობიერებს რა საკუთარ თავისუფლებას, უსვავს საკუთარ

თავს ამოცანას, რომელიც თავადვე უნდა გადაწყვიტოს. მისი მიმდევრების, XX საუკუნის ექსისტენციალისტებისაგან განსხვავებით, კირკების რელიგიური ფილოსოფოსია და პირად არჩევანში არ უშვებს თვითნებურებას. მისთვის ორიენტირი რწმენაა, უფალია – „**აბსოლუტური სხვაა**“. მოზიტივისტებისათვის ეს **სხვა** უმაღლ ტრანსუბიექტურია და არა აბსოლუტური.

თანამედროვე ფილოსოფიურ-მორალური დისკურსი, მთლიანობაში, ეყრდნობა რა მსოფლებელვათა მრავალპოლუ-სიანობას, უფრო ზუსტად, ღირებულებათა პლურალიზმს, არ მიისწრაფვის აბსოლუტური, საყოველთაო ქცევის წესების დადგენისაკენ. პრაგმატიულად ორიენტირებული ამ ტიპის დისკურსი შემოიფარგლება გონივრული სამართლიანობის საკითხებით. ამ პირობებში გამოყენებითი ეთიკის პრობლე-მებშიც იკვეთება მიდგომის გამარტივების ტენდენცია, ანუ „დისკურსთა პლურალიზმის“ დამვება. განსაკუთრებით იმ სეგმენტში, რომელიც ბიოეთიკურის სფეროს ეხება, ანუ იქ, სადაც საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლის დასაწყისისა და დასასრულით მანიპულირების ზნეობრივ განასერს, ასევე მისი თვისებრივად შეცვლის მორალური დასაბუთების მართლომ-იერებას.

ამ ველზე ცხადდება შეკითხვა: **პოსტ-ინდუსტრიული ხანის კაცობრიობა ლიბერალური ევგენიკის გზაზეა?** და თუკი ეს საფრთხე რეალურია, იგი ჩვენგან მოითხოვს ბრძოლას ადამიანურ ცხოვრებაში ზნეობრივ-ეთიკურის პრიმატისათვის, ადამიანური მოდგმის ეთიკური თვითგაგების დაფუძნებისათვის.

ტექნოგენურმა ცივილიზაციამ, ბიოსამედიცინო ტექნოლო-გიების (ორგანოთა ტრანსპლანტაცია, კლონირება, სელოვნური განაყოფიერება, სუროგატული დედობა, ევთანაზია, ევგენიკის პრობლემები და სხვ.) მიღწევებმა თანამედროვე ფილოსოფიური გონი ეთიკური საკითხების ახლებურად ფორმულირების აუცილებლობის წინაშე დააყენა. თვალსაზრისთა ფართო სპექტრი დაწურული სახით ორ, დეონტოლოგიურ და ტელეოლოგიურ, ხედვაზე შეიძლება

დავიყვანოთ. თითოეული ხედვის შიგნითაც თავს იჩენს დებატები: ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ახალი სიცოცხლის ხელოვნურად შექმნაზე, განსაზღვროს და შეცვალოს სიცოცხლის ხარისხობრივი პარამეტრები, გაახანგრძლივოს სიცოცხლე, გადაწიოს სიკვდილის დრო, თუ ხელოვნურად შეწყვიტოს იგი (ევთანაზია), რამდენად ზნეობრივია პასუხის-მგებლობის ერთმნიშვნელოვნად პიროვნულ-ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტა და სხვა.

სირთულეების მოხსნა ბიოეთიკური დილემების გადაწყვეტის გზაზე, ერთადერთი ჭეშმარიტი პასუხის მოძიება შესაძლებელია ქრისტიანული ეთიკის ველზე, ქრისტიანულად ორიენტირებული ანთროპოლოგიის ფარგლებში.